ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725083001
თარიღი:24/03/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი - N04

დ. ლენტეხი 20 მარტი 2025 წ

მიმდინარე წლის 20 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 6(ექვსი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ა(ა)ი. პირების ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის დამხმარე სპეციალისტები ანა მუკბანიანი და ანჟელა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

2.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

4. 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

5. „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31-იანვრის N-2 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე/

6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

შენიშვნა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს : დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სხით.

1. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი პირველ რიგში მიესალმა სხდომის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა საკრებულოს მოწვევისთვის და თანამშრომლობისთვის. მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა ყველა მიმართულებით 2024 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე და აღნიშნა, რომ თუ იქნება დაინტერესება კონკრეტული ფაქტებით, სამსახურის უფროსები (თანამომხსენებლები) დაწვრილებით პასუხებს გასცემენ შეკითხვებს მათი სფეროების მიხედვით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურის და სპორტის სფეროების, ტურიზმის განვითარებას. მიუხედავად უამრავი შესრულებული სასიკეთო საქმისა , ლენტეხის მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა, გამოწვევა და საჭიროებაა. საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალური ხარჯვით, შევძელით პასუხი გაგვეცა ძირითადი გამოწვევებისთვის, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, ყოველივე ეს, თითოეული სამსახურის ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის შედეგია.მან მადლობა გადაუხადა მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ნაყოფიერი და ხარისხიანი მუშაობისთვის.

   ხაზი გაუსვა გლობალური პროექტის - რაიონის გაზიფიცირების პროცესის დაწყებას, ამავე დროს აღნიშნა, რომ გვაქვს უნიკალური ბუნება და გვაქვს სერიოზული მოლოდინი ჩვენს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების. გასულ წელს გაკეთდა რამდენიმე ტურისტული ბილიკი.

   მომხსენებელი შეეხო ყველა სფეროს. ფინანსურ ნაწილში აღნიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების თანადგომით და მხარდაჭერით თითქმის გაორმაგდა ბიუჯეტი. ყველა სოფელში არის გზები მოწესრიგებული, ახლაც პროცესში ვართ და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს გადავალთ კეთილმოწყობაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს დიდი ბიუჯეტი სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის, მაქსიმუმს ვაკეთებთ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვები აქტიურად იყონ ჩართული ყველა ღონისძიებაში. ანგარიშის ბოლოს აღნიშნა, რომ ერთმანეთის გვერდში დგომით და მონდომებით მომავალშიც ბევრი პროექტი და პროგრამა განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. (ანგარიში თან ერთვის).

   ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკრებულოს წევრებმა დასვეს კითხვები.

   მოისმინეს: დავით პირველი - საანგარიშო პერიოდში, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს რა ფაქტები იკვეთებოდა უარყოფითად და რა გზას სახვს ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად.

   მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად გულდასაწყვეტია მოსახლეობის დაბალი ცხობიერება და მიდგომა მიმდინარე სამუშაო პროცესებთან, მაგალითისათვის მოიყვანა ჰესები და მოუწოდა რწმუნებულებს იყონ მოსახლეობასთან მუდმივ კომუნიკაციაში და მაქსიმუმი გააკეთონ მათი ცხობიერების ასამაღლებლად.

   მოისმინეს: დავით პირველი - თუ მოგვარდება დაბაში წყლის პრობლემა.

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება აღნიშნული პროექტი და მოგვარდება წყლის პრობლემა.

   გიორგი გაზდელიანი - კარგია, რომ დაბაში ბაზრის შენობა გაკეთდა, მაგრამ გვაინტერესებს როდის გაიხსნება.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბაზრის შენობა იჯარით გადაეცა კერძო პიროვნებას, რომელმაც ხელშეკრულების საფუძველზე აიღო ვალდებულება ბაზრის მოწყობაზე, დახლების შემოტანაზე და გახსნაზე. ამავე დროს კონტრაქტორთან გვაქვს მოლაპარაკება ისეთ დეტალებზე, როგორიცაა მოვაჭრეებისათვის რამდენიმე დახლის უფასო გამოყოფაზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ დაკარგონ მოტივაცია .

შეკითხვა დასვა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა: გვყავს წარმატებული სპორტსმენები და გვაინტერესებს თუ არის ბიუჯეტში მათ წასახალისებლად თანხა გათვალისწინებული.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა არის გათვალისწინებული ფულადი პრიზები.

შეკითხვა დასვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ ბაღის შენობასთან დაკავშირებით.

პასუხად მერმა აღნიშნა, რომ პროცესი მიდის და რომელმა ფირმამაც უნდა ააშენოს ბაღი, ის გააკეთებს შენობის დემონტაჟსაც.

შეკითხვა დასვა ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის" წევრმა გიორგი შავრეშიანმა - ჩოლურის თემში, კერძოდ თეკალში იყო გათვალისწინებული სკოლის რეაბილიტაცია და რატომ ჩაიშალა ეს პროცესი.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განათლების სამინისტროს მიერ შერჩეული იყო ორი სკოლა ჩოლურის და ჩიხარეშის. საბოლოოდ ბავშვების მეტი კონტიგენტის გამო შეირჩა ჩიხარეშის საჯარო სკოლა.

ანგარიშის განხილვის პერიოდში საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მოკლე სიტყვით მიმართა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილემ ბერდია ჩახქსელიანმა. საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინიციატივა ნაგვის გადასახადთან დაკავშირებით, რომ სიმბოლურად თვეში ერთ სულზე იყოს მინიმუმ ერთი ლარი გადასახადი, რაც წაადგება ადგილობრივ ბიუჯეტს.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შეაჯამა საკითხი.

აღნიშნა, რომ ანგარიში სრულყოფილად არის წარმოდგენილი და მისი აზრით ექვემდებარება დადებითად შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ მერის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა სხდომის წევრებს გააცნო ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის N-146 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი 354,332,52 ლარის და 2025 წლის 28 თებერვლის N-382 განკარგულებით მიზნობრივად გამოყოფილი 20,000ლარის ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში.

3.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი -

.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის N03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება მიღებული იქნა მიმდინარე წლის 20 თებერვლის სხდომაზე. მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, ეს შენიშვნები გავითვალისწინეთ და წარმოდგენილია დადგენილების პროექტი ახალი რედაქციით:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შემდეგი სახით:

1.დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2-ე მუხლის ,,გ''-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

2. წესის მე-5-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.აკრძალულია მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი, შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი, პური, სუნელები და სანელებლები) გარე ვაჭრობა“.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიადი ლობჟანიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა ეს პროექტი შერჩეულია მოსახლეობის შეხვედრების და ინტერესების გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - ეს პროექტები განხილულია კომისიის სხდომაზეც და ბიუროს სხდომაზეც. შევჯერდით, რომ ყველა ეს პროექტი გათვალისწინებული იქნება პრიორიტეტული პროექტების დაფინანსების შემდეგ.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა - მისი, როგორც დაბის მაჟორიტარი დეპუტატის აზრით, კარგია ყველაფერი რაც გაკეთდება, მაგრამ დაბაში ამ ნუსხით გათვალისწინებულ პროექტებზე უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტიული პროექტებიც არსებობს.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,, მოქალაქეები საქართველოსთვის“ წევრმა გიორგი შავრეშიანმა კარგი იქნება, თუ მომავალში პროექტების შერჩევის დროს, როგორც ერთ-ერთი თემის მაჟორიტარ დეპუტატს ჩამაყენებთ საქმის კურსში.

სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: **მოწონებული იქნას 2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა.**

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი -

„ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31-იანვრის N-2 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზედამხედველობის სამსახურს აქვს ორი განყოფილება და მოხდება ფუნქციების გადანაწილება. კერძოდ:

1.დებულების მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განყოფილება

განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზაოგადოებრივ ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის დარღვევაზე;

ბ) კონტროლს სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობაზე. არსებული წესების დარღვევით სხვა მიწათმოსარგებლისათვის

გადაცემაზე;

გ) კონტროლს სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებაზე ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობაზე;

დ) კონტროლს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვაზე, ქუჩებზე, მაგისტრალებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში, მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა- გადაკეთებაზე, სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით გადაკეტვაზე ან ნაწილობრივ შეზღუდვაზე, ჭაბურღილების დაყენებაზე, შენობათა საძირკველის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაზე, სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრელებზე გადატანაზე და აღნიშნული სამუშაოების დადგენილი წესებით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე;

ე) კონტროლს მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციებთან შესაბამისობაზე;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით წესრიგის დაცვას მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე;

ზ) კონტროლის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვასა და შესრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც უფლებამოსილია შემოწმების პროცესში მოითხოვოს ყველა საჭირო და აუცილებელი დოკუმენტაცია სამოქმედო ტერიტორიაზე;

თ)მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტთან შესაბამისობის დადგენა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება, სამუშაოების შესრულებაზე გადაწყვეტილების შემთხვევაში

სათანადო დოკუმენტაციის მომზადება;

ი) ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე ზედამხედველობას

და კონტროლს;

კ) პროექტის, სანებართვო პირობების დარღვევით მშენებარე ობიექტების მშენებლობის შეჩერებას ან/და დემონტაჟის განხორციელებას;

2.დებულების მე-6-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისა და უნებართვო საქმეთა კონტროლის განყოფილება

განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენას და საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

ბ) სამშენებლო პროცესის კონტროლს და დარღვევის აღმოფხვრის მიზნით რეაგირებას;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების და ვადების კონტროლს;

დ) დამრღვევი ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს კანონმდებლობისშესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას;

ე) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დამრღვევი ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსის, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მომოქცევის კოდექსის“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზომების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში სამართალდარღვევის აქტის შედგენას;

ვ) დაშვებული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დამრღვევისთვის კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმების დაკისრებას;

ზ)მოქმედი კანომდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღრული სხვა

ფუნქციების განხორციელებას.

თ) კონტროლს ხეების და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განვითარებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე და დაზიანებაზე;

ი) კონტროლს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების და დასუფთავების ღონისძიებათა შესრულებაზე;

კ) ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კეთილმოწყობის, გარე იერსახის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და წესების შესრულებაზე კონტროლს;

ლ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმის მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებას''.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და კითხვები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის

ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31-იანვრის N-2 დადგენილებაში.

6. მოისმინეს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს არის უძრავი ქონება - ხოფურის მჟავე წყლის ტერიტორია 700კვ.მ და დაბაში ყოფილი საცდელის ტერიტორია., რომ არის დაინტერესება ბიზმესმენის, ჩაიდება ინვესტიცია და გალამაზდება აღნიშნული ტერიტორია.

შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი